პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნიზმის სხივი

1990 20 იანვარი შაბათი

№9 (6236)

ფასი 8 კაპ.

გაზეთი დაარსდა 1933 წლის 10 მაისს

საქართველოს კპ ცაგერის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

КОМУНИЗМИС СХИВИ орган Цагерского райкома КП Грузии и райсовета народных депутатов

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

16 და 17 იანვარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, მასში მონაწილეობდნენ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, რესპუბლიკის მთავრობის, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის, ქალაქის საბჭოს და რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელები. თათბირს, რომელიც რესპუბლიკაში და მთლიანად ამიერკავკასიის რეგიონში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას და აქედან გამომდინარე ოპერატიულ საკითხებს ეხებოდა, უძღვებოდა გ. გუმბარიძე.

თათბირზე ითქვა, რომ, მართალია, ცხინვალის რეგიონში სიტუაცია კვლავ სტაბილური რჩება, თბილისში ჩვეული რიტმით მუშაობს საქალაქო ტრანსპორტი და სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობა, ნორმალურად ფუნქციონირებენ სკოლები, მომსახურების ობიექტები და სხვა დაწესებულებები, სულ უფრო საგრძნობი ხდება შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრიობის ფართო ფენების მაღალი მოქალაქეობრივი პოზიცია, მაგრამ მდგომარეობა მთლიანად რესპუბლიკაში, განსაკუთრებით დედაქალაქში, სადაც გრძელდება საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მიერ დაწყებული აქციები, კვლავ დაძაბულია. აღინიშნა, რომ მთლიანად რესპუბლიკაში და თბილისშიც მკვეთრად იმატა მძიმე სახეობათა დანაშაულობებმა, რომელთა საგრძნობი ნაწილი ჯერჯერობით გაუხსნელია.

განსაკუთრებული შეშფოთება გამოითქვა მეზობელ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში შექმნილი ტრაგიკული ვითარების გამო, რაც მთელ საქართველოს მოსახლეობას აღელვებს. აღინიშნა, რომ ნებისმიერ შრომითს კოლექტივს, საქართველოს ყველა მოქალაქეს ასეთ დროს განსაკუთრებული წესრიგის დაცვა, სიფრთხილე და წინდახედულება მართებთ, რადგან ერთმა დაუფიქრებელმა ნაბიჯმა ან პროვოკაციულმა მოწოდებამ რესპუბლიკის ტერიტორიაზეც შეიძლება გამოიწვიოს დრამატული სიტუაციის ესკალაცია. წარმოებს სათანადო მუშაობა იმ რეგიონებში სიმშვიდის და წესრიგის შესანარჩუნებლად, სადაც სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობა ცხოვრობს.

ისიც ითქვა, რომ ასეთ რთულ სიტუაციაში პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის კიდევ უფრო მეტი აქტიურობა და პასუხისმგებლობა უნდა გამოიჩინონ. აუცილებელია შრომითს კოლექტივებში, ადამიანებთან კიდევ უფრო მეტი მუშაობა, შექმნილი მდგომარეობის საშიშროების დამაჯერებელი, არგუმენტირებული ახსნა, მშრომელთა აზრის გულისყურით მოსმენა, მათთან მუდმივი თანადგომა, სისტემატური ინფორმირება, რთული მოვლენების მართვა. ამასთან, სწორედ ასეთი რთული ვითარების დროს იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ადამიანთა უფლებების დაცვა, წესრიგის განმტკიცება, სამართალდარღვევების აღკვეთა, რადგან კანონების უპატივცემულობის ყოველ ფაქტზე კანონის შესაბამისი რეაგირება თუ არ მოხდა, ძნელი იქნება თავიდან ავიცილოთ დაუსჯელობისა და მიმტევებლობის უაღრესად სახიფათო ატმოსფერო, რაც კიდევ უფრო დაძაბავს ისედაც რთულ ვითარებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრესცენტრი.

ოჯახი

ამ ჭერმაღალი და სულით მდიდარი ოჯახიდან ყოველდღე 5 ჩანთააკიდებული მოსწავლე გამოდის და ალპანის საშუალო სკოლისკენ მიემართება, ბავშვებს რომ გაისტუმრებენ, სახლის კარს პედაგოგები, რძალ-დედამთილი პელო და ცარო ფრუიძეებიც გამოხურავენ და გაკვეთილებზე მიიჩქარიან. ოჯახის მამა ჯაბულ ფრუიძეს კი თავისი საქმე აქვს, საყოფაცხოვრებო მომსახურებაში მუშაობს და გვიან ღამით შემოდის ოჯახში.

ამ მრავალშვილიან ოჯახზე უკვე დაიწერა და ჩვენი გაზეთის მკითხველებმაც იციან, მაგრამ ამჯერად ხაზს ვუსვამთ იმას, თუ რა მონაწილეობას იღებენ საკოლმეურნეო შრომაში, როგორია ოჯახის წვლილი სასურსათო პროგრამის განხორციელების საქმეში.

ამჯოლდი ჭერო...

ოჯახში ყოველთვის წესრიგია, ყველას თავისი საქმე და საზრუნავი აქვს. სკოლაში მოწინავე, სამაგალითო მოსწავლეები, ბუნებრივია, შრომისმოყვარეობით, ხელსაქმითა და საქმისადმი გულისყურით გამორჩეულებიც არიან. სწორედ მათი იმედით აიღო ოჯახის მამამ 0,5 ჰექტარი სასიმინდე ყანა, საკარმიდამოსთან ერთად მოვლა არ დაუკლიათ და სიმინდის მოსავალიც ბარაქიანად მიიღეს. მოწეული მოსავლიდან კოლმეურნეობას თავისი ანგარიში გაუსწორეს, ამასთან 25 კილოგრამი ლობიო ჩააბარეს.

ოჯახში სამი ძროხა ჰყავთ, რისთვისაც საკვებიც საკმაოდ მოიმარაგეს და ნამეტი პროდუქტებიც ბლომად აქვთ. ამიტომ იყო, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე მეტი 280 კილოგრამი ხორცი მიჰყიდეს სახელმწიფოს. გარდა ამისა იმდენი რძე აწარმოეს, რომ ოჯახის საჭიროებაც დააკმაყოფილეს და 35 კილოგრამი ყველი დამამზადებელ პუნქტს ჩააბარეს.

სწორედ ასეთი შვილმრავალი და სიკეთით სავსე ოჯახებიდან გამოკრთის ჩვენი ერის მომავალი, იმრავლოს, იხაროს ასეთმა ოჯახებმა, ჰაერივით რომ სჭირდება დღევანდელ დედა-საქართველოს.

ჯ. მანდარია.

წამოაყენეს დეპუტატობის კანდიდატად

ალვის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მცხოვრებმა ამომრჩევლებმა 18 იანვარს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის №201 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს აღვის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი ეთერ დიმიტრის ასული ,ყურაშვილი, დაბადებული 1945 წელს, უმაღლესი განათლებით, სკკპ წევრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეორიულ - პრაქტიკული კონფერენციის შესახებ

რაიონის ყველა მშრომელს

როგორც რაიონის მშრომელებმა იციან, შარშან საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის გადაწყვეტილებით უნდა ჩატარებულიყო თეორიულ-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „მთიანი რაიონების ეკონომიკა, ეკოლოგია და დემოგრაფია“. მღელვარე პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მოვლენების, რაიონში განვითარებული სტიქიის, სხვა ობიექტური მიზეზების გამო კონფერენციის ჩატარება პრაქტიკულად არ მოხერხდა. იგი მოეწყობა მიმდინარე წლის თებერვლის ბოლო დღეებში.

იმისათვის, რომ კონფერენციამ მიაღწიოს თავის მიზანს, დასახოს არსებულ პრობლემათა გადაჭრის კონკრეტული გზები (ჩვენთვის სამივე პრობლემა—ეკონომიკა, ეკოლოგია, დემოგრაფია—მტკივნეულია), კვლავაც მოგმართავთ თხოვნით—აქტიური მონაწილეობა მიიღოთ კონფერენციის მომზადებასა და ჩატარებაში, მოგვაწოდოთ თქვენი შენიშვნები და მოსაზრებანი, რომელთა გათვალისწინება, შემდეგ დადებითად გადაჭრა ხელს შეუწყობს რაიონის ეკონომიკური, ეკოლოგიური და დემოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტას.

წინადადებები შეგიძლიათ გამოგზავნოთ საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომში, გაზეთ „კომუნიზმის სხივის“ რედაქციაში.

თეორიულ-პრაქტიკული კონფერენციის მოსამზადებელი მუშა-ჯგუფი.

ვაჯამებთ წლიურ შედეგებს

ნველადობა:

ვინ როგორ შეასრულა გაცემული სიტყვა?

ერთი ფურიდან რძის მიღების 1989 წლის გეგმის შესრულება რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში (კილოგრამობით) წინა 1988 წელთან შედარებით მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის.

კოლმეურნეობები	გ.	ფ.	%	±
ტვიში	2350	2068	88	+840
ალპანა	2200	1173	53,3	—689
ლაილაში	2400	850	35,4	+111
ლაჯანა	2400	1851	77,1	+237
ორბელი	2300	2075	90,2	+287
ჩხუტელი	2350	2236	95,1	+586
ცაგერი	2450	1356	55,3	—265
წიფერჩი	2000	1560	78	+789
ღვირიში	2200	2336	106,2	+876
ლასურიაში	2300	2247	97,7	+756
უსახ. მევ. საბ. მე-ბა	2250	2250	100	+617
სულ რაიონში	2387	1696	71	+249

სახელმწიფო სტატისტიკის ცაგერის რაიონული განყოფილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება: გარდაქმნის გამოცდილება

რაიკომის წევრი, პრივილეგია თუ პოგრომი?

მრავალი წლის განმავლობაში რაიკომის წევრად არჩევა გულისხმობდა ზოგჯერ მხოლოდ საპატიო სტრიქონს კომუნისტის ბიოგრაფიაში, რომელიც თავისთავად იძლევა პატივისცემის უფლებას. „უძრაობის“ ეს ტრადიცია დაარღვიეს გურჯაანის რაიონის პარტიულ ორგანიზაციაში.

—გადაწყვეტილება ექსპერიმენტის სახით გაგვემკიცებინა რაიკომის წევრის დროებითი სტატუსი, მოიწონეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე,— თქვა პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველმა მდივანმა დავით სარიშვილმა.—დღეს ამის აუცილებლობას ამტკიცებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მრავალი წევრიც, რომლებიც გაზეთ „პრავდის“ ფურცლებიდან მხარს უჭერენ თავიანთი სტატუსის არსებობას, რადგან ამ საზოგადოებრივ-პოლიტიკური სამუშაოს შესრულებისათვის მათ, სახალხო დეპუტატებისაგან განსხვავებით, არავითარი პრივილეგია და შეღავათები არა აქვთ ისე, როგორც მატერიალური ანაზღაურებაც.

ჩვენ კი იმით ვხელმძღვანელობდით, რომ უძრაობის დროს თანდათანობით უფასურდებოდა რაიკომის წევრის წოდება, ზოგჯერ იგი ავტომატურად დაერთვებოდა ხოლმე დიდ საბჭოთა და სამეურნეო თანამდებობას, პროფკავშირულ ან კომკავშირულ პოსტს. ზოგჯერ კი საპატიო ჯილდო იყო წარჩინებული მოწინავეებისათვის.

რაიკომის წევრები, რომელთა შემადგენლობა თითქმის მეოთხედით შემცირდა, დღეს იზიარებენ იდეოლოგიური მუშაობის სიმძიმესაც, რაზმავენ რაიონის კომუნისტებს გარდაქმნის ამოცანების გადაწყვეტის, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს გარდაქმნისათვის. რაიონულ კომიტეტთან თავიანთი ურთიერთობით ისინი არ ცვლიან აპარატის საქმიანობას, მუშაობენ მასთან მჭიდრო კონტაქტით, ერთიანი მიზნების მისაღწევად. ამასთან, პარტიის რაიონულ კომიტეტს, ძირითადად, ახალგაზრდა ინიციატივიანი კომუნისტების იმედი აქვთ.

—ვფიქრობ, რომ ჩვენი აქტიური მუშაობა მიზნად უნდა ისახავდეს პარტიის დემოკრატიზაციას, მისი ავტორიტეტის, მასებზე ზეგავლენის გაძლიერებას, —მიაჩნია რაიკომის წევრს, გურჯაანის საკონსერვო ქარხნის მუშას, კომუნისტს 1987 წლიდან ნათელა ბიბილაშვილს. ამაში მეთანხმება გურჯაანის რაიკომის თითქმის ოთხმოცი წევრი და წევრობის კანდიდატი, რომლებიც სამართლიანად თვლიან, რომ ჯერჯერობით ნაკლებეფექტიანად გამოიყენება პარტიის რაიკომის უფლებამოსილი წარმომადგენლის პოტენციალი ადგილებზე, ხალხის მასებში. ვფიქრობ, რომ ეს მუშაობა უნდა დაიწყოთ რაიკომის წევრის ავტორიტეტის აღორძინებით, მისდამი ნდობის დაბრუნებით.

(საქინფორმი).

ახალგაზრდობა— მრის იმედი

გზა გასავლელი ძიებით, შრომით

ამ ორიოდე თვის წინ ცივი ქარისაგან მიმოფანტული ყავისფერი ფოთლებით მოცულ ქუჩაში მისთვის ჩვეული ენერგიული ნაბიჯით მომავალს შევხვდი, სულ მალე ოთახის სითბომ მოახლოებული ზამთრის სუსხი მიგვავიწყა. ჩვეულებრივ ხალისიანია ჩვენი საუბარი უახლოეს დღეებზე, ნაცნობ საკითხებზე. მომაელისკენ მიპყრობილ მზერასაც გონების თვალი გავაყოლეთ.

უამრავი გეგმა აქვს, ნაოცნებარ, ნასათუთევ მომავალს საკუთარი ნიჭის, გარჯის ძალით უყრის საფუძველს.

იამზე ასათიანმა დამოუკიდებელი ცხოვრების გზა მაშინ აირჩია, როდესაც ცაგერის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ცაგერის კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა რამდენიმე მის თანატოლთან ერთად, თუმც შემდეგ. როცა კოლმეურნეთა „პრივილეგიებიც“ შემცირდა უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ კონკურსში, მის თანატოლთა რიცხვმაც იკლო თანამოსაქმეთა შორის.

უმაღლესი პედაგოგიური განათლების მიღება იამზეს დიდი ხნის სურვილიც იყო, ოცნების ასრულების დღეს ისიც ელოდა, ელოდა შრომით...

გრძელ, ენერგიულ თითებს ოთხი წლის მანძილზე მრავალჯერ უგრძვნია მოწეული მოსავლის სიუხვე. ვაზაფხულის მზეს თუ შემოდგომის სიცივეს ყანაში მომუშავე თუ ხილის საკრეფად გასულისათვის არაერთხელ დაუსვამს თავისი უხეში „დაღი“ სახეზე. დაღლილობითაც მოქანცულა, მიწის მოვლას, მოსავლის მოყვანას ხომ მხოლოდ ამ წლებში მიეჩვია.

რეალურია, რომ არც მატერიალური ანაზღაურება დააკმაყოფილებდა მის თანამედროვე, ახალგაზრდულ მოთხოვნებს.

ერთი წელი საჯარო ხელშეკრულებით შრომობდა. 0,2 ჰექტარ სასიმინდე ყანას უვლიდა. აბრეშუმის ჭიის გამოკვებაშიც აღებულმა ფულადმა შემოსავალმა აუნაზღაურა ის მძიმე ფიზიკური შრომა, აბრეშუმის მურის მოვლასა და გამოკვებას რომ შეალია.

თავისი თანატოლების, რაიონის ახალგაზრდობის ყოველი მნიშვნელოვანი დღით, საათით ცხოვრობს. დღევანდელ გაშიშვლებულ პრობლემებს [illegible] და მხოლოდ ერთი [illegible] ბით უძებნის გამოსავალს— თუ[illegible]დაც რად[illegible] საკითხი, ახალგაზრდობის [illegible] ოვნებ[illegible] ის სურვილით, და კიდევ იმით, რომ დღევანდელი საკეთებელი ხვალის დღეს არ დავუთმოთ.

ახალგაზრდულ მომავლის იმედით გაშუქებულ სახეს დრო და დრო ფიქრი შებურავს... მოფიქრებული, ნაზრევი გზა გადაჰკვეთს ცხოვრებისეულ წინააღმდეგობებს, მხოლოდ შემდეგ გეკუთვნის სწორი არჩევანი და იამზეც ირჩევს ძიებით, შრომით საკუთარ შესაძლებლობათა არჩევანს.

მომავლისაკენ მიმავალი მოჩანს გზა, გზა დაუზარებლად გასავლელი.

* * *

ეს წერილი იწერებოდა როგორც ჩვენი რაიონის ერთ გულშემატკივარ მშრომელ გოგონაზე, კომკავშირის რაიონული ორგანიზაციის ბოლო ორი კონფერენციის დელეგატზე. წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როცა შევიტყვეთ, რომ იამზე ასათიანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტის მოხამზადებელი განყოფილების მსმენელი გახდა. ვულოცავთ, ვუსურვებთ წარმატებული ყოფილიყოს მისთვის უმაღლესი ცოდნისაკენ მიმავალი გზა.

ლ. ცხვედიანი.

ორგელის კულტურის სახლის დირექტორი ლენა საღინაძე გამოცდილი მუშაკია. იგი კულტურის სახლის დრამატული წრის ხელმძღვანელობასაც წარმატებით ართმევს თავს.

სურათზე: ლენა საღინაძე (მარცხნიდან მეორე) წრის წევრებთან ერთად დასადგმელად ამზადებს ახალ პიესას.

ზ. გზობავას ფოტო.

სტიქია და ადამიანები

ი მ ე დ მ ა რ ო მ

ანუ ერთი განკარგულება ლეჩხუმელთა კომენტარით

ორი დღეც და გათენდება ახალი წელი. განწყობილება — სამუშაო, რადგან დღესაც სამუშაო დღეა. სიტუაციის შესაფერისად მაგიდაზე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განკარგულება მიდევს:

„იმასთან დაკავშირებით, რომ მიმდინარე წლის ნოემბერ-დეკემბერში აჭარის მთის რაიონებსა და ცაგერის რაიონში კვლავ იმძლავრა სტიქიამ და საჭირო შეიქმნა უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის სასწრაფოდ დაკმაყოფილება საცხოვრებელი ფართობით, როგორც გამონაკლისი, შეძენილ იქნეს რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში გამოთავისუფლებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები სტიქიონის შედეგების აღმოსაფხვრელად დამატებით გამოყოფილ სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე.

რესპუბლიკის შესაბამისი რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა სასწრაფოდ დაადგინონ გამოთავისუფლებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ოდენობა და განსაზღვრონ მათი ღირებულება დადგენილი წესით“.

„შემდეგ— დავალებანი სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და ფინანსთა სამინისტროს, შესაბამის რესპუბლიკურ ბანკს ამ განკარგულების სარეალიზაციოდ.

ლაკონურია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 8 დეკემბრის ეს განკარგულება, სულ 17 სტრიქონია, და კიდევ ერთი პრობლემა ჩვენი ერთი წლის ცხოვრებისა ჩაიტია, პრობლემა, გართულებული ჩვენი არსებობისა, ლამის ნორმად რომ გვექცეს თუ წესად.

ეგებ სიმშვიდე მოაქვს ახალ წელს, ეგებ გვაკმაროს?..

* * *

ჩამატებული ჩანაწერი (1990 წლის 6 იანვარი). რა უადგილოდ ჩანს ერთი კვირის წინანდელი ეს ჩანაწერი: არც გვაკმარა, არც ჩვენ ვიკმარეთ, არცაა სიმშვიდე. კაცი ბეჭობდა, ღმერთი იცინოდაო, ამაზე უთქვამთ. თავის თავის უბედურთ, ესეც უთქვამთ.

მძიმედ, ზარით დაიწყო ეს წელიწადიც: შეტაკებათა ახალი ფაქტები, მსხვერპლი სამწუხარო, უაზრო... ისევ ჩიხი?

მაგრამ იქნებ სწორედ ამ ფონზე უფრო გამოიკვეთა ამ ოფიციალური. საქმიანი დოკუმენტის ჰუმანური მუხტი თუ პათოსი: სიკეთე, უპირველეს ყოვლისა, და იმედი.

* * *

ოთხად-ოთხი წინადადებაა დადგენილებაში, მაგრამ სიტყვათა ამ ძუნწ წყობაში დევს იმედიც და სიცოცხლის გაგრძელების პირობაც: სტიქიისაგან უსახლკაროდ დარჩენილი არა ერთი ასეული ოჯახისათვის გამზადებული, გამართული ფუძე-ჭერისათვის, სახლების შესაძენად მთავრობამ გამონახა სახსრები. პრაქტიკულად წარმოუდგენელიც კი იყო ამის გაკეთება: როდესაც უკვე ყველაფერი, ყველა შესაძლებლობა ამოწურა სვანეთში, აჭარაში, კოლხეთში, ზემო იმერეთში, სხვაგან სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებმა, როდესაც ასეთ მძიმე მდგომარეობაშია ჩვენი ეკონომიკა. მაგრამ გაკეთდა.

სხვათა შორის, ამ გადაწყვეტილების მიღება გარკვეულ რისკთანაც იყო დაკავშირებული, პიროვნულ რისკთან...

სტიქიის შემოტევის გამო მაშაპაპისეული სამყოფელიდან აყრილი ლეჩხუმელების დასახლებას კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებს: მთავრობისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ერთობლივი მოღვაწეობა. არა პრეტენზიების წაყენება და მოთხოვნა, არამედ ერთობლივი საქმიანობა. ესეც ნიშანდობლივია.

— არც ერთხელ არ ყოფილა, ქართველ კაცს გაჭირვებოდეს და გვერდში არ ამოვდგომოდი, როგორც შემეძლო და როგორც ხელი გამიწვდებოდა. ლეჩხუმში საშინელება მოხდა და მოვალეც ვიყავი მივშველებოდი. ჩემი ლეჩხუმელობა დაემთხვა ამას,—ასე დაიწყო ამ დადგენილების კომენტარი გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორმა, პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა. მასთან ერთად არიან ანზორ ბურჯანაძე, საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე და სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დავით სვანიძე. ლეჩხუმელები.

— თქვენი შინაგანი მოთხოვნილება და მთავრობის ღონისძიება ერთმანეთს დაემთხვა...

—საერთო სატკივარით შეიძლება ამის ახსნა. იმითაც, რომ სწორედ მე და ანზორ ბურჯანაძემ დავსვით ლეჩხუმელთა გაჭირვების საკითხი მთავრობის წინაშე და მხარიც დაგვიჭირეს.

—შეიძლება უფრო დაწვრილებით?

—სიამოვნებით. იმაზე არაფერს მოგიყვებით, როგორ გავჩნდით მეორე დილასვე ლეჩხუმში, როგორც კი შევიტყვეთ ამ კუთხის დამეწყვრის ამბავი...

ა. ბურჯანაძე: თბილისში რა გა გვაჩერებდა. გაგვიგებთ, როგორ იმოქმედა ამ ამბავმა ჩვენზე, მაგრამ მარტო თანაგრძნობის სათქმელად არ წავსულვართ, თუმცა ესეც რაღაცას ნიშნავს. რით გვეშველა, რით დავხმარებოდით, ეს იყო გასარკვევი ადგილზე.

ჯ. ჩარკვიანი: გვაწუხებდა ისიც, რომ არ დაცარიელებულიყო ლეჩხუმი. სად უნდა ჩასახლებულ-

სასკოლო განათლების კონცეფციის პროექტის შუქზე

შემოვბრუნდეთ ერის ისტორიისკენ

საბჭოეთის არსებობის მთელ განვლილ პერიოდში ისტორიის ათვლის წერტილად „დიდი“ რევოლუციის წელს მივიჩნევდით, ყოველი ღონით ვცდილობდით თითქმის დაგვევიწყა საკუთარი ეგრეთწოდებული „მცირე ერის“ ისტორია და საამაყოდ გაგვეხადა „პრივილეგირებული“ რუსი ხალხის წარსული. ქარავნის წინაშე ძაღლის ყეფას მიაგავდა ერთი-ორი ეროვნული მოღვაწის წუხილი სკოლებში საქართველოს ისტორიის სწავლების შესახებ, ერთი კონსპექტური სახელმძღვანელო მე-7-10 კლასებს ყოფნიდა, სამაგიეროდ მოზარდის უზარმაზარ ძალას, ენერგიას ვახმარდით დოგმებით შეზღუდული სიყალბისა და მონაჩმახის გაზეპირებას. და ასე, წლების განმავლობაში ატყუებდა მოძღვარი შეგირდს, შეგირდი მოძღვარს, და შემდეგ ორივეს „უხაროდა“, ერთს ის, რომ უმაღლესი შეფასება მისცა მოძღვარმა, მეორეს—ის, რომ „ვალი“ მოიხადა ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

დასაბამიდან არც ერთ თეორიას, იდეოლოგიას და პოლიტიკას არ უარუყვია წარსულის, აწმყოსა და მომავლის განზომილება, მაშ, რა მოხდა ჩვენთან, ნუთუ არსებობს ერი ისტორიის გარეშე? ნუთუ არსებობს პიროვნების სრულფასოვნება მისი ქვეყნის ისტორიული წარსულის ცოდნის გარეშე? ნუთუ შესაძლებელია ხალხს დაუკარგო და წაართვა ისტორია? ეს კითხვები ბევრს აწვალებდა, პასუხიც ქონდა ნაპოვნი, მაგრამ რა შეეძლო...

მადლობა ღმერთს, ის დრო წავიდა და ქართული საზოგადოებრივი აზრი მკვეთრად შემობრუნდა ეროვნული პრობლემებისაკენ, დრო კი წავიდა, მაგრამ მეტი თავსატეხი დაგვიტოვა, ვიდრე წაიღო.

[illegible] ისტორიისაკენ 180 გ[illegible]დუსით შემობრუნებულთ ხელში შეგვრჩა წარსულგადავიწყებული უზარმაზარი მასა ხალხისა და ცოდნასმოწყურებული ახალგაზრდობა. აი, პრობლემა, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა გადაწყვიტოს ქართველმა ერმა, რომლის სრულყოფილების საფუძველი სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი უნდა გახდეს.

რა ხდება დღევანდელ სკოლაში, როგორ ართმევს თავს იგი ამ ურთულესი საკითხის გადაწყვეტას? სასიხარულოს ვერაფერს გეტყვით, რამეთუ ამის საშუალებას არ იძლევა იქ შექმნილი მდგომარეობა. უჭირს დღეს სკოლას, უჭირს ყველა რგოლში, უჭირს მასწავლებელს და მოსწავლეს უფრო. რატომ?

იმიტომ, რომ ჯერ კიდევ როდი დაადწია თავი განათლების სამინისტრომ ძველ, ყოვლადუმართებულო ამბიციებს. ჯერ კიდევ სრული კურსით გადიან მოსწავლეები გაყალბებულ ისტორიას, თუმცა უამრავ საკითხს აეხადა ფარდა და დაიბეჭდა პრესაში.

მითითებების შესაბამისად მასწავლებლები შეძლებისდაგვარად ვცდილობთ პარალელურად მივაწოდოთ მოზარდს ახალი ინფორმაცია ისტორიის ამა თუ იმ საკითხზე, მაგრამ მაინც ძნელია გადალახო ფსიქოლოგიური ბარიერი, რადგან წიგნი, მითუმეტეს სახელმძღვანელო, ჩვენში ოდითგანვე გათანაბრებული იყო სიმართლესთან და თუ ვინმე ამ სიმართლეში შეგვედავებოდა, თავს წიგნით ვიცავდით. ამიტომ სსრ კავშირის ისტორიის (უფრო სწორად რუსეთის ისტორიის) სახელმძღვანელო სკოლაში არსებული სახით ყოვლად გაუმართლებელია.

ახლად აზვირთებულმა ეროვნულმა მოძრაობამ და პირუთვნელმა სიმართლემ ბოლო სამოცდაათ წლიანი საბჭოთა ისტორიის შესახებ, მოზარდს ყოველგვარი ინტერესი დაუკარგა სსრკ ისტორიისადმი, სამაგიეროდ, გაუძლიერა წყურვილი მშობლიური ისტორიის შესწავლისა. მთელმა რიგმა მიმდინარე პროცესებმა თვით განათლების სამინისტროც აიძულა დათმობაზე წასულიყო და უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე საბჭოთა კავშირის ისტორიის ნაცვლად საქართველოს ისტორია შემოეღო.

სკოლის ორიენტაციაც აქეთკენ უნდა იყოს მიმართული, ე. ი. სკოლიდან საქართველოს ისტორიის სრულყოფილი ცოდნით უნდა გავუშვათ ახალგაზრდა. ცოდნის შეძენას დრო სჭირდება, სწავლების დრო კი მკვეთრად შეზღუდულია. ამ საგანს კვირაში ერთი საგაკვეთილო საათი ეთმობა, მაშინ, როცა სსრ კავშირის ისტორიას—კვირაში ოთხი გაკვეთილი (მე-10 კლასში). აუცილებელია ფაკულტატურის სახით მაინც გამოეყოს საქართველოს ისტორიას საათი და ცოტათი მაინც შეივსოს ეს დანაკლისი.

საქართველოს ისტორიის სრულყოფილი ცოდნის შეძენისათვის საჭირო სრულყოფილი სახელმძღვანელოებითაც ვერ დავიტრაბახებთ, ამ სახელმძღვანელოებით შორს ვერ წავალთ.

ცოდნის შეძენას შინაარსით ახლომყოფი მეცნიერების—ამ შემთხვევაში, გეოგრაფიის, ბუნებისმეტყველების და სხვათა ღრმა საფუძვლიანი ცოდნა სჭირდება. ამაზე ოცნება კი ძნელია ჯერჯერობით, რადგან ცოდნისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაც მომავლის საქმეა.

ზემოთჩამოთვლილი სიძნელეების დაძლევას ვცდილობთ შეძლებისდაგვარად. სკოლაში შევქმენით საქართველოს ისტორიის წრე, რომელშიც გაერთიანებული არიან ამ საგნით დაინტერესებული მოსწავლეები. წრეზე სიღრმისეულად ვიხილავთ იმ საკითხებს, რომელთა გაცნობიერება გაკვეთილზე ვერ ხერხდება დროის სიმცირის გამო. ვკითხულობთ ეპიზოდებს ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრებიდან“, მიხეილ ჯავახიშვილის წერილებს, ბერძენიშვილის, ჯანაშიას, მელიქიშვილის თუ სხვათა „საქართველოს ისტორიას“. მომავალში დაგეგმილი გვაქვს მოვაწყოთ თეორიული კონფერენცია საქართველოს ისტორიის ჯერაც ბნელით მოცულ პერიოდზე.

მხოლოდ ამ ღონისძიებებით ფონს გასვლა და ერის ისტორიის სრულყოფილად შესწავლა შეუძლებელია. მაგრამ იმედს ისევ დღევანდელი ეროვნული მოძრაობა, ქართული საზოგადებრივი აზრი და ახლახან გამოქვეყნებული ქართული ეროვნული სკოლის კონცეფციის პროექტი გვაძლევს, რომელიც ითვალისწინებს, რომ ისტორიათა ცოდნა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ყმაწვილის ეროვნული და მოქალაქეობრივი შეგნების ჩამოსაყალიბებლად. მოსწავლემ უნდა შეიცნოს თავისი ერის მსოფლიო ისტორიული მისია, ეზიაროს წარსულის კულტურულ მემკვიდრეობას, სახელოვან წინაპართა ღირსეულ შთამომავლად იგრძნოს თავი.

ლარისა ახვლედიანი,
ცაგერის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი.

ჩვენ გვწერენ

გმადლობთ, ექიმო!

ლეჩხუმში [illegible] ვიყავით, ჩვენ[illegible] დად რომ გაგვიხდა. გამოძახებული სასწრაფო დახმარების მანქანა ცაგერის რაიონული საავადმყოფოდან დროზე მოვიდა. პედიატრი მანანა ხაბულიანი, მედდები მზია კენჭაძე და ბაბუცა მურცხვალაძე ბავშვის გასინჯვის შემდეგ შეუდგნენ მკურნალობას.

სულ მალე რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანეს ჩვენი შვილი. მძიმე მდგომარეობაში მყოფს სამი დღე-ღამის განმავლობაში მზრუნველობა და განსაკუთრებული ყურადღება არ მოჰკლებია ექიმისა თუ მედდებისაგან. მათ ჩვენ შვილს სიცოცხლე აჩუქეს. ჩვენ კი მთელი სიცოცხლის მანძილზე მადლიერი დავრჩებით მანანა ექიმის, რომლის ბუნებრივ ნიჭთან, მაღალ პროფესიულობასთან ასე კარგადაა შერწყმული სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ავადმყოფთა ტკივილის გათავისებაც.

ამ წერილით გვინდა მადლობა ვუთხრათ არა მარტო მათ, ვინც ჩვენს შვილს სიცოცხლე შეუნარჩუნა, არამედ მანანა ექიმის მშობლებს, ახლობლებს, ყველას, ვინც გარკვეული როლი შეასრულა მისი, როგორც პიროვნების, ექიმის ჩამოყალიბებაში.

ვუსურვებთ ნუ მოჰკლებოდეს ლეჩხუმს ასეთი კარგი ახალგაზრდები, გულისხმიერი ექიმები.

მარინე და გურამ ჩაკვეტაძეები.

წყალტუბო, სოფ. გვიშტიბი.

ი ც ო ც ხ ლ ო ს

იყვნენ? ცაგერის რაიონში ადგილები არ არის, არც მეზობელ წყალტუბოს რაიონშია, ნაწილსაც ვერ დაეკმაყოფილებ. თანაც, ერთი ოჯახიც რომ ჩასულიყო, ლეჩხუმში აღარავინ დარჩებოდა. ბევრი ვიმუშავეთ, ეს პრობლემა რომ მოგვეხსნა. ჩვენმა, როგორც იქაურების ჩასვლამ, რასაკვირველია, გავლენა იქონია.

მერე მთავრობაში რომ მოვედით, მართალი გითხრათ, ასეთ ხელგაშლილობას არ მოველოდით.

ამას სხვაგვარი პროპაგანდა სჭირდება. ხალხს უნდა გავაგებინოთ, ქუჩაში მოარულ კაცს, რომელიც გაზეთს როდის კითხულობს, ან ტელევიზორს როდის უყურებს, ვერ გეტყვით. უნდა ვუთხრათ, რომ რაინდულად გადაწყვიტა მთავრობამ ეს საკითხი, პირადი რისკის დიდი ღოზით.

სად უნდა ჩასახლებულიყვნენ? ალბათ, ბოლნისში, დმანისში, გამზადებულ სახლებში, რომლებსაც მთავრობა შეუძენდა. სხვა გზა არ იყო და არც საშუალება. ეს პირდაპირ უნდა გვეთქვა, არ უნდა მოგვეტყუებინა ხალხი, რასაც ჩვენიანებს ვურჩევდით, სხვებსაც ის ვურჩიეთ.

ჩამოვიდნენ მათი წარმომადგენლები რაიკომის მდივნის ხელმძღვანელობით, ანზორი წაჰყვა სამხრეთ საქართველოში. საკუთარი თვალით ნახეს, დარწმუნდნენ, მერე მამულიშვილური გრძნობებიც არ უნდა დაგვავიწყდეს მათი.

წესით და რიგით ლეჩხუმიდან ყველა უნდა წამოვიდეს. მაგრამ ლეჩხუმელი კაცი მიჯაჭვულია თავის მიწას, მამა-პაპის საპატრონებელ საფლავებს.

ა. ბურჯანაძე: სოფელ ღვირიში სასაფლაო დაიმეწყრა და ამოცვივდა კუბოები.

ჯ. ჩარკვიანი: ვინც დამეწყრილი არ არის, კარზე მოადგა უკვე. შეიძლება მდინარე ორი მეტრით სოფელზე მაღლა მოდიოდეს? ზუსტად ასეა. თავიდან როგორ არ გათვალა მეცნიერი იყო, თუ ჰიდრომშენებელი... მახსოვს, იქ ხიდია ერთი, გადაიხედავდი—უფსკრული იყო. ახლა დაშლამა, ამოიწია კალაპოტმა.

დ. სვანიძე: ქალაქზე მაღლა დგას ცხენისწყალი, აღარ გააქვს ჩამონშალი.

ჯ. ჩარკვიანი: ამასწინათ ტელევიზიით რაჭასთან დაკავშირებულ ფილმზე კომენტარს ვაკეთებდი. ახლა თავში ხელის ცემა გვიანაა. ვინ დაბრუნდება რაჭაში, არ ვიცი. კაცი ქალაქს გემოს რომ გაუგებს, ძნელად მიბრუნდეს სოფელში. მართლა თეატრისათვის კი არ მოდიან ქალაქში. მე, მაგალითად, არ მინახავს ოპერის თეატრი გატენილი იყოს ჩამოსულებით... მინიმალური პირობა იქ უნდა შეუქმნა, საიდანაც მოდიან. დღეს არ არსებობს კუთხე ლეჩხუმზე უფრო მიტოვებული. ხევსურეთს არ ვამბობ, რადგან ხევსურმა თვითონ მიატოვა ის კუთხე, რაჭველმა—რაჭა. სანამ იგივე მოხდებოდეს ლეჩხუმში, მიხედვა უნდა. იგივე მთაა ლეჩხუმი.

უსახელაური ყველას მოსწონს, იმას კი მომყვანი ჭირდება...

ა. ბურჯანაძე: სოფელს მანამ უნდა ზრუნვა, სანამ ხალხია იქ. ლეჩხუმს ახლავე ჭირდება ყურადღება. ამ კუთხისათვის დროზე რომ მიეხედათ, შეიძლება ეს პრობლემა დღეს ასე მწვავედ არ დამდგარიყო. მაგრამ, როგორც ამბობენ, ფაქტი სახეზეა და ვერსად გავექცევით.

ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურმა საბჭომ ყველას და ყველგან, სტიქიით დაზარალებულს ხელი გაუწვდინა და დაეხმარა: სვანეთში, აჭარაში, სპიტაკში... ალბათ, არ გაგიკვირდებათ, თუ განსაკუთრებით შემაშფოთა ჩემი ლეჩხუმელობის გამო ცაგერის რაიონში სტიქიის შემოტევამ.

300-350 ოჯახი აყრის ზონაში იყო მაშინ, ახლა მეტია. გაზაფხულისათვის ალბათ მეორე სამასი მოემატება.

მოსახლეობას სასწრაფო დახმარება ჭირდებოდა. რაიონის ხელმძღვანელობას, რაც შეეძლო, ყველაფერი ჰქონდა გაკეთებული, მთავრობის კომისია ჩასული იყო და ჩვენც, როგორც იქაურები და დეპუტატები, ბუნებრივია, უნდა დავხმარებოდით.

პირველი პრობლემა წყალტუბოში ჩასახლებაზე უარის თქმა იყო. ამ რაიონს თავისუფალი მიწები არ აქვს.

ამაზე ჯანსუღ ჩარკვიანმა უკვე ილაპარაკა...

ბოლნისი, დმანისი, მარნეული—დემოგრაფიული პრობლემა, ყველას მოგეხსენებათ. ჩვენ სწორედ აქეთ წამოსვლა ვურჩიეთ ჩვენიანებს და, უნდა გითხრათ, დაგვიჯერეს. გულწრფელად ვურჩიეთ. ჩემი დის ოჯახიც აქეთ გადმოსახლდება. მარტო პატრიოტიზმისათვის არა. ამ რაიონებში ძალიან კარგი მიწებია და მშრომელ კაცს არაფერი მოაკლდება. ბინების სწრაფად შეძენის რეალური საშუალება სწორედ აქ იყო, ესეც მნიშვნელოვანია.

ამჯერადაც გულთან მიიტანა მთავრობამ ხალხის გასაჭირი.

ჯ. ჩარკვიანი: გადაწყვეტილებაც ორიგინალურია.

ა. ბურჯანაძე: შეიძლება ოპონენტი აღმოუჩნდეს ამ გადაწყვეტილებას. არ ვიცი, ვინ იქნება იგი, ან ვის შეიძლება გაუჩნდეს ოპონენტობის სურვილი. როდესაც ოჯახები გაპარტახდა, დაიმეწყრა, ცის ქვეშ დარჩა ხალხი და მის საშველად მთავრობამ სახსრები გამოჰყო, რა მნიშვნელობა აქვს, ადრე რისთვის იყო გამიზნული ეს თანხა.

დ. სვანიძე: ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ჩვენს თანამემამულეებსაც, მთავრობასაც.

ლეჩხუმელებს გვიჭირს ძირძველი მიწის დატოვება. მეწყრული პროცესები ძალიან აქტიურად მოქმედებს. ჩვენთან გეოლოგები მუშაობენ ამჟამად და შემოწმებული 540 ოჯახიდან 361 ამ წუთისათვის გადასაყვანია. ე. ი. ან დაენგრა სახლი, ან დაენგრევა, ცხოვრება არ შეიძლება.

100-მდე ოჯახია დღეს გადმოსახლებაზე თანახმა, მაგრამ ვინც ადგილზე დარჩება, იმათაც უნდა ყურადღების მიქცევა.

(დასასრული მე-4 გვერდზე).

იმედმა რომ იცოცხლოს

(დასასრული).

ბოლნისში ყველაფერი გულდასმით დავათვალიერეთ—სახლები, მიწები, სავარგულები. ადგილობრივი ხელმძღვანელობა გულდასმით მუშაობს, გვეხმარება. ვნახე ის უბნები, სადაც კომპაქტურად იცხოვრებენ ლეჩხუმელები, იქვე 2-2,5 ათას კვადრატულ მეტრ მიწასაც მიუზომავენ, სადაც 2 და 3 მოსავალიც შეუძლია მოიყვანოს ჩვენმა მშრომელმა ხალხმა.

* * *

მერე სამივე ლეჩხუმელმა დიდი გულისტკივილით ილაპარაკა იმ სერიოზული ეკოლოგიური სიტუაციის შესახებ, რომელიც ლეჩხუმში, ცხენისწყლის ხეობაშია შექმნილი. გურამ ფანჯიკიძე, ელიზბარ ჯაველიძე, თამაზ კვაჭანტირაძე, თამაზ წივწივაძე, ლევან სანიკიძე ჩემს დღეანდელ სტუმრებთან (მათ მასპინძლებთან) ერთად ასულან ამ რამდენიმე თვის წინ ლეჩხუმში, კიდევ ერთხელ დარწმუნებულან, რა დამღუპველად მოქმედებს გარემოზე ტყის სამრეწველო ჩეხვა, ნამახვანჰესის კასკადის მშენებლობას რა უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს.

—საგუბარიც საჭიროა, ჰესიც. მაგრამ ეს გონივრულად უნდა გაკეთდეს. ძველ შეცდომებს ახალი არ უნდა დაუმატოს ჩვენმა თაობამ და არ უნდა დავღუპოთ ეს მხარე. ლეჩხუმის ეკოლოგიური პრობლემა კომპეტენტურმა კომისიამ, ექსპერტთა კომისიამ უნდა შეისწავლოს და მოახსენოს მთავრობას—ეს ანზორ ბურჯანაძის აზრია.

—სპეციალისტ-დემაგოგს შეუძლია თქვას: მაშ როგორ, დავუბრუნდეთ გამოქვაბულებს და სინათლე არ გვინდა? თუ უნდა აღვიგაოთ პირისაგან მიწისა, მაშინ რად გვინდა?!—ეს ჯანსუღ ჩარკვიანის ალტერნატიული მოსაზრებაა.

ბოლოს მაინც ერთი აზრი აქვთ: უნდა გაკეთდეს ის და ისე, რაც ხალხს მოუტანს სიკეთეს, შესწავლილ იქნეს მეცნიერულად, დასაბუთდეს „ჰოც“ და „არაც“. თანაც: მზადდება მთავრობის გადაწყვეტილება, რომელიც ამ კუთხის ეკოლოგიის სტაბილიზაციის ღონისძიებათა იმ კომპლექსსაც მოიცავს.

* * *

იმედიანი ჩანაწერი (1990 წლის 11 იანვარი): დღეისათვის დმანისის და ბოლნისის რაიონებში უკვე შეძენილია 869 სახლი, დაიხარჯა 30 მილიონამდე მანეთი გამოყოფილი სახსრები.

კაცი ბჭობდაო, და მაინც იმედით იყო კაცი, რომელიც ცოცხლობს. არის მდგომარეობის სტაბილიზაციის ნიშნები.

10 იანვარს ტელევიზიით რესპუბლიკის ხელმძღვანელი გივი გუმბარიძე გამოვიდა და მისი სიტყვის შემდეგ, ყველას, ვისაც რაიმე აკვიატებული აზრი არ აწუხებს, იმედი გაუჩნდა.

სანამ ვცოცხლობთ, იცოცხლებს იმედიც.

გიორგი კორძაია.
გაზეთი „კომუნისტი“.

მგზავრთა გულისწყრომა სამართლიანია

29 დეკემბერს ბევრი ცაგერელი ელოდა „თბილისი-ცაგერი“ ექსპრესული მარშრუტის ავტობუსს. გაზეთი „კომუნიზმის სხივი“ იუწყებოდა, რომ თბილისის ავტობაზა „ტურისტის“ ადმინისტრაციის დაპირებისამებრ მარშრუტის ფუნქციონირება რეგულარული, ყოველდღიური უნდა ყოფილიყო. მაგრამ, ნურას უკაცრავად, ნანატრი ავტობუსი არსად ჩანდა. არ გამოჩნდა იგი არც მეორე, მესამე დღეს. მგზავრები დღემდე ამაოდ ელოდებიან დანაპირებს. ეტყობა, რომ ამ კეთილ საქმესაც ბიუროკრატიული ბარიერი გადაეღობა წინ.

მგზავრთა და მშრომელთა გულისწყრომა კიდევ უფრო იზრდება იმის გამო, რომ შემოდგომის აქეთ აღარ მოძრაობს ავტობუსი ცაგერი-თბილისი („სამხრეთ ოსეთის“ გავლით), აღარც ლენტეხი-თბილისი ჩანს კარგა ხანია. ასე რომ, ამ მარშრუტზე ამყარებდნენ იმედს ლეჩხუმელი მგზავრები.

გაზეთ „კომუნიზმის სხივის“ რედაქციის, ლეჩხუმის სახალხო ფრონტის გამგეობის სახელზე შემოვიდა მოქალაქეთა განცხადებები, რომლებიც ითხოვენ დაპირებული მარშრუტის ამოქმედებას. გვესმის რა რაიონის მოსახლეობის სამგზავრო მომსახურების საქმეში არსებული ნაკლოვანებებისა და მგზავრთა მუდმივი გასაჭირის შესახებ, ლეჩხუმის სახალხო ფრონტის გამგეობა თვლის, რომ მოქალაქეთა აღშფოთება სავსებით კანონიერია. მაგრამ იმისათვის, რომ გადაილახოს წინაღობები, აუცილებელია ერთიანი კოლექტიური აზრი. ამ მიზნით ლეჩხუმის სახალხო ფრონტი აგროვებს ხელმოწერებს. მოქალაქეებს შეუძლიათ შეაგროვონ კოლექტიური ხელმოწერებიც და მოიტანონ სახალხო ფრონტის შტაბ-ბინაში, 23 იანვარს, სამშაბათს, 18 საათზე ან გაზეთ „კომუნიზმის სხივის“ რედაქციაში ყოველდღე გარდა შაბათ-კვირისა.

ია ხმელიძე,
ლეჩხუმის სახალხო ფრონტის პრეს-მდივანი.

გელა სალინაძეს
როღანდ მურცხვალაძეს

გილოცავთ ბედნიერებას. სიყვარულის ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. შვილთა სიმრავლეს დაეშვენებინოს და აეხმიანებინოს თქვენი კერა საქართველოს სასიხარულოდ.

გაზეთ „კომუნიზმის სხივის“ რედაქციისა და რაიონული სტამბის კოლექტივი.

ნელი მიხეილის ასულ ჭაბუკიანს
შურმან ნიკოლოზის ძე გორგასლიძეს

გილოცავთ ბედნიერებას, ოჯახის შექმნას. გისურვებთ ულევ სიხარულს, შვილთა სიმრავლეს.

რაისაავადმყოფოს ბავშვთა განყოფილების თანამშრომლები.

სტუმრად ზღაპართან

მკითხველთა მოზიდვისა და ნორჩი თაობის უკეთ მომსახურებისათვის სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკაში მრავალი საინტერესო თვალსაჩინოებაა. ახლახან, კიდევ ერთი სიახლე შეემატა ჩვენი ნორჩი მკითხველების მომსახურების საქმეს. ბიბლიოთეკის დარბაზი უფრო მიმზიდველი გახდა ახალი თვალსაჩინოებებით. აქ შემოსვლისთანავე ნორჩ მკითხველთა თვალწინ ზღაპრების მთელი სამყარო გადაიშლება. წარმოდგენილია „ზღაპრების გმირების“ ფერწერული სურათები: ნაცარქექია, წითელქუდა, კომბლე, წიქარა და სხვა პერსონაჟები.

მობრძანდით, მკითხველებო, ბიბლიოთეკაში თქვენ გელით საინტერესო სანახაობა.

თ. ტვილიდიანი,
ცაგერის სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკის გამგე.

ორბელის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ლია ახვლედიანს და ნაიმ გელოვანს დედისა და სიდედრის

ლილი ახვლედიანის

გარდაცვალების გამო.

ორბელის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ლილი ფოფხაძეს და გულსუნდა ბურჯალიანს ძმისა და ბიძის

ვახტანგ ფოფხაძის

გარდაცვალების გამო.

რუბენ, ამბროსი, ჯუსტან შახარობლიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლილი სერგოს ასული ახვლედიანი.

ღა სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შვილები ვალერი, გურამი, ანზორი, ნორა, ძმისშვილები პიერ, ცაბუ ფუტკარაძეები, დისშვილი ეორა ჩაკვეტაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლუბა ფუტკარაძე-ბენიძე.

დაკრძალვა 21 იანვარს, კვირას, ოჩამჩირის რაიონის სოფ. ახალდაბაში.

და ზინა, სიძე ალიოშა, დისშვილები ჯენი, ჯონი, ჯოტო ყურაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რუბენ ანდრიას ძე ბობოხიძე.

დაკრძალვა 20 იანვარს, შაბათს. ქ. ზუგდიდში, გამოსვენება ჩაპაევის ქ. №18.

ცაგერის №2 ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ვენერა დავითულიანს სიძის

არჩილ ომანაძის

გარდაცვალების გამო.

შვილები ჯემალი, ბორისი, რძლები ნუნუ, მადონა, მვილიშვილები ფატი, სერგო, ლაშა, თეკლე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

პელო მიხეილის ასული ხუბუკელაშვილი-ჩაჩხიანი.

დაკრძალვა 21 იანვარს, კვირას, სოფ. ლილაშში.

ოყურეშის საშუალო სკოლის 1980 წლის კურსდამთავრებულები და კლასის ხელმძღვანელი დადაში მამარდაშვილი თანაუგრძნობენ რუსუდან აკობიძეს დედის

ნანული ვლადიმერის ასული გიორგელიძის

გარდაცვალების გამო.

გურამ ლიპარტელიანი, რუსუდან ომანაძე, ზინა გურული ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

არჩილ ომანაძე.

ლაჯანის სკოლა-ინტერნატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ კლარა და მურმან ნემსწვერიძეებს დედისა და სიდედრის

ნინო გულბანის

გარდაცვალების გამო.

შვილები ეთერი, ჯუმბერი, მაზლისშვილი ნოდარი, რძლები დალი ჩაჩხიანი, ალია გორგასლიძე, ძმისშვილი, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მაშო გორგასლიძე-ლაკვეხელიანი.

დაკრძალვა 23 იანვარს, სამშაბათს, სოფ. სპათაგორში.

დისშვილი ნონა, სიძე შალვა ლაჭყეპიანი, დისშვილისშვილები პავლუშა, ირმა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზინა პავლეს ასული ნემსწვერიძე

დაკრძალვა 23 იანვარს, სამშაბათს, სოფ. ტვიშში.

სახელმწიფო სატყეო მეურნეობის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლეილა ომანაძეს მეუღლის

არჩილ ომანაძის

გარდაცვალების გამო.

ნაზი, მურმან ომანაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

არჩილ ომანაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ბიჭიკო ბერიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

არჩილ ბიქტორის ძე ომანაძე.

რედაქტორის მოადგილე
მ. ძნელაძე.

ორბელის საშუალო სკოლის მეორე კლასის მოსწავლეები, მშობლები თანაუგრძნობენ ლია ახვლედიანს დედის

ლილი ახვლედიანის

გარდაცვალების გამო.

გურამ, შიო ჩაკვეტაძეები, დოდო ომანაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

არჩილ ომანაძე.

ლაჯანის საუბნო საავადმყოფოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ შარდენ ახვლედიანს მეუღლის

ლილი გიორგობიანის

გარდაცვალების გამო.

ზუბის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ სოფო ომანაძეს მამის

არჩილ ომანაძის

გარდაცვალების გამო.

გელა სილაგაძე, დემურ გულბანი, ზურაბ ქარსელაძე, მიშა ბაკურაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

არჩილ ომანაძე.

ენერგოგასაღების ცაგერის უბნის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ზაურ ახვლედიანს ქვისლის

არჩილ ომანაძის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384106 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-3[illegible], განყოფილებები: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის
გაზეთი გამოდის ხამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 1 ინდექსი 66539, ტირაჟი 4441 —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23,
საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.